სოა. ამ გზის ისტორია არქევეპიში,
მუხუშმებში და თავად ხალხში ინა-
ხება და იმასკება. საქართველოს
ყველა ისტორიულ -ეთნოგრაფიულ
ძალებს თავისი განუმეორებელი
ხიბლი აქვს თავისი კულტურითა
თუ სოციალურ ეკონომიკური ას-
პტებით. თუ -ის ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნო-
ლოგიის მიმართულების ხელმძღ-
ვანელი როლანდ თოფჩიშვილი ამ
საკითხების შესწავლით ჯერ კიდევ
ასპირანტობის წლებში დაინტერეს-
და. სწორედ ხანგრძლივი კვლევისა
და მუშაობის შემდეგ შეიქმნა მისი
ახალი ნაშროომი - „საქართველოს
ისტორიულ -ეთნოგრაფიული მხა-
რები“, ომელიც სახელმძღვანე-
ლოდ გამოადგებათ სტუდენტებს,
ასევე საინტერესო იქნება მეცნიე-
რებისათვისაც და ამ საკითხებით
დაინტერესებული მკითხველისთ-
ვის. აღსანიშნავია, რომ მეცნიერმა
წიგნი ეთნოლოგიური მეცნიერების
ცნობილი წარმომადგენლების -
თინათინ ოჩიაურისა და ჯულიეტა
რუხაძის - ხელვას მიუძღვნა, რომ-
ლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს
ქართული ეთნოლოგიური მეცნიე-
რების განვითარებაში. ამიტომ მათ
ავტორი თავის მასწავლებლებად
და წინამორბედებად თვლის.

„ქართული ეთნოსი სამხრეთ კავკასიაში წარმოიშვა და ეთნიკური ისტორიის ხანგრძლივი გზაც იქ გაიარა. ქართველთა განსახლების არეალში სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები ჩამოყალიბდა. თითო-ეული მათგანი ხალხური კულტურის თავისებურებებით ხასიათდებოდა. წიგნში განხილულია საქართველოს კველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, მათ შორის, ისინიც, რომლებიც დღეს სხვადასხვა სახელმწიფოების შემადგენლობაში არიან მოქცეულები.



ჭარმოქმედილია ამ მხარეებისთვის და-
მახასიათებელი ეთნოგრაფიული თა-
ვისებურებები და ის სამეცნიერო-კო-
ნომიკური და კულტურული კავშირები,
რაც ერთმანეთს შორის ჰქონდათ. ნაჩ-
ვენებია, რომ ისტორიულ-ეთნოგრა-
ფიული მხარეების ეს კავშირები ერთი
კონსოლიდაციას უწყობდა ხელს, – აღ-
ნიშნავს როლანდ თოფჩიშვილი.

მეცნიერის ინფორმაციით, წიგნში ვრცლად და ცალ-ცალქა განხილული საქართველოს კველა ეთნოგრაფიული მხარე. აღწერილია მათი ისტორია, ტრადიციები, ხალხურ-რელიგიური დღესასწაულები, საქორწინო წეს-ჩევა-ულებები, სამეურნეო ყოფა და სხვა... როგორც ეთნოლოგისთვის კი, კველაზე მეტად მნიშვნელოვანი ის ფაქტი აღმოჩნდა, თუ რა სამეურნეო-ეკონო-მიკური კავშირები ჰქონდათ ამ მხარეებს ერთმანეთთან. ამის შესახებ წიგნში მრავალი საინტერესო ფაქტია მოყვანილი. „საქართველო ისეთ გეოგ-რაფიულ არეალშია მოქცეული, რომელს მხარეები ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებდნენ: მაგალითად, ქართლი და ჭავახეთი ხორბლის უზვი მოსავალით გამოირჩეოდა. ხესურები, სადაც მეცხოველეობა იყო განვითარებული,

ზამთარში გარესამუშაოებზე ჩამოდიო-ოდნენ ბარში, სადაც გასაყიდად ჩა-მოჰქონდათ ღვედები და ცოცხები. რაჭ-ველები და იმერლები სავარცხლებს ჟიდონენ, რომლებსაც რეგბისგან ამზა-დებდნენ. თრიალეთშიც მთელი საქარ-თველოდან მოჰყვავდათ საძოვრებზე საქონელი. ღვინო მესხებს გადმოჰქონ-დათ ბალდათის მხრიდან. წიგნში უველა მხარეა განხილული, ლაზეთის ჩათვ-ლით. უველაზე დიდი ნაწილი თბილი-სის ეთნოლოგიას ეთმობა. ალსანიშვა-ვია, რომ ამ ეკონომიკურ ურთიერთო-ბებს თავის დროზე დიდი უურადლება მიაკცია იგანგ ჯავახიშვილმა. ფაქტობ-რივად, სწორედ ამ ურთიერთობებზე იყო დაფუძნებული საქართველოს, რო-გორც სახელმწიფოდ, შექმნა და ჩამო-ყალიბება“, – ამბობს მეცნიერი.

როგორც როლანდ თოფჩიშვილი წიგნის მიმოხილვისას აღნიშნავს, სა-ქართველოს ეთნოგრაფიული მხარე-ების დახასიათებისას, შეუძლებელია სრულად გადმოცემა იმ ტრადიციებისა და ყოფა-ცხოვრებისა, რომლებიც საუ-კუნეების განმავლობაში ყალიბდებო-და ამ მხარეებში. „ახალი დროის კვალ-დაკვალ ბევრი ტრადიცია ნივაციით შეიცვალა, ამასთან, ბოლშევკიური ხე-

ლისუფლებისთვის ტრადიციების დიდი
ნაწილი მიუღებელი იყო, რომლებიც
არ ითვალისწინებდნენ ციცერონის შე-
გონებას – „არ დაარღვით არსებული
ტრადიციები“. ბევრი მათგანი ტექნიკუ-
რი და ეკონომიკური ეკოლოგიის შემ-
დეგ შეიცვალა, მომავალი რომ უკეთ
განვჭრიოტოთ და დავინახოთ, აუცი-
ლებელი და სინკრეტუსოცაა ძველი
ქართული წეს-ჩვეულებების, ტრადიცი-
ების ცოდნა, რომელიც ქართულ სინამ-
დვილები რეგიონალური მრავალფე-
როვნებით ხასიათდებოდა. სწორედ ამ
მიზნით დაიწერა ეს წიგნი, რათა გავი-
აზროთ ტრადიციული მრავალფეროვ-
ნება ქართული ყოფის სიმდიდრისა და,
რაც მთავარია, ის ეთნოსების გერატი-
ანების საფუძველი იყო. ამ ნაშრომის
დაწერა ასევე განაპირობა საუნივერ-
სიტეტო განათლების თანამედროვე
მდგომარეობამ – თბილისის სახელმ-
წიფო უნივერსიტეტში ეთნოლოგიას
სათანადო ყურადღება ექცევა, თავდა-
პირველად ეს წიგნიც სახელმძღვანე-
ლოდ იყო გათვალისწინებული, თუმცა,
გარკვეული ჩარჩოებიდან გამოვედით,
რადგან აუცილებელი გახდა მდიდარი
ქართული სამეცნიერო ლიტერატურის
მითითება, განსხვავებული მოსაზრებე-
ბის დაფიქსირება და სხვა. მნიშვნელო-
ვანია ალინიშნოს, რომ წიგნის გაცნო-
ბის შემდეგ მკითხველი მიხვდება, რომ
ქართველი ხალხი იზოლირებული და
თავის თავში ჩაკეტილი არასდროს ყო-
ფილა, ქართული კულტურა მახლობე-
ლი აღმოსავლეთისა და აღმოსავლუ-
რი ცივილიზაციის ღირსეული ნაწილი
იყო“, – ამბობს მეცნიერი.

როლანდ თოფჩიშვილის თქმით,
წიგნის დაწერის ძირითადი მიზანი
ისიც იყო, რომ „გვეჩვენებინა ქართული
ხალხური კულტურის თავისთავადობა,
ქართველი ადამიანის შემოქმედები-
თი უნარი, რომ ლოკალურ-ტერიტო-
რიული კულტურის თავისებურებებს
საერთო კულტურა ედო საფუძვლად,
და ბოლოს, ბევრ ჩვენ თანამემამულებს
ხშირად წარმოდგენა არა აქვს ისტო-
რიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებზე, ამი-
ტომ ეს წიგნი დაიწერა არა მხოლოდ
სტუდენტებისა და მეცნიერებისთვის,
არამედ ყველა რიგითი ქართველისთ-
ვის“, – ამბობს როლანდ თოფჩიშვილი.

ჰესაძე გიგანტის ფრთხოების შესაბამის სასწავლო
ციდილინების შემოღება ერთ-ერთ უძველეს სასწავლო
კონფიდენციალურ სასწავლო პროცესის განვითარების
მიზანის მიზანის მიზანის მიზანის მიზანის მიზანის მიზანის

თამარ ლალიანი

**ଭିଲ୍ଲିସିଲ୍ ସାହେଲମଦ୍ଦିତ୍ଯନ ଶୁଣି-
କେରାଶିତ୍ରେତିଲ୍ କ୍ଷାମରମିକୁଳିଲ୍ ଦା
ଭିଠର୍ଗେଶିଲ୍ ଫାକ୍ଷୁଲାନ୍ତ୍ରେତିଲ୍ ସତ୍ୟ-
ଦେବନ୍ତୁରୀ କାଳେବ୍ରାହିଲ୍ ଦା ପରାମର୍ଶକ୍ରୂପିଲ୍
ପ୍ରେବନ୍ତ୍ରମା „ଇହୋ“-ଦ ଚାରମାତ୍ରବିଧିଟ ଗାନ୍ଧା-
ବେନ୍ଦ୍ରପ୍ରିୟାଲ୍ ସାମ୍ବେନ୍ଦ୍ରିଯରା ପରାମର୍ଶକ୍ରୀ- ।
ସାହେରାତାଶମରାଳିଲ୍ ସତ୍ୟଦେବନ୍ତୁରୀ ସାହାଜ୍-
ବ୍ୟୁଲାନ ସାମ୍ବେନ୍ଦ୍ରିଯରାପରାମର୍ଶକ୍ରୀଯୁଲା କ୍ଷାମି-
ଲା „ସାହେରାତକ୍ଷେତ୍ରାଲ୍-ସରାଜକ୍ରୀଯୁଲାନ ଉରତୀ-
କ୍ଷେତ୍ରବିଧିବିଧି ଆଶାଲାନ ତ୍ରୈକ୍ଷନାଲୋଗାଗ୍ରୀବିଦିଲ୍
ମାରତଵା ଶୁରବାନ୍ତୁଲ ଦା ଅଗରାରଜ୍ଞାନ ବ୍ୟେକ-
କ୍ରମର୍ବଧିଶିଳ୍”, ରମେଶ୍ଲିପ 2-9 ଅଗ୍ରିଲୁଟ୍ରୁରି-
କ୍ଷାଲାଜ ବାତମ୍ବାଶି ଗାମିମାରତା. ପରାମର୍ଶକ୍ରୀତି
ମିଏକ୍ଷଣବା ସାହେରାତକ୍ଷେତ୍ରାଲ୍ ଦା ଇଲାକ୍ଷାଲେ
ଶମରାଳିଲ୍ ଫିଲ୍ମମାତ୍ରିଯୁରୀ ଉରତିକ୍ଷେତ୍ରାଲ୍-
ବିଧିବିଧି ଦାମ୍ପାର୍କେବିଦିଲ୍ 25 ଫିଲ୍ମିଲ୍ଲାଟାଗ୍ରୀ.**

საზაფხულო სკოლის მუშაობა-ში მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა მომხსენებელმა, რომელთა შორის იქ-ვერებ: ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური, თბილისის მერი დავით ნარმანია, ბათუმის მერის მოადგილე ბაგრატ მანველიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ავ-თანდილ მესხიძე, თსუ-სა და ბსუ-ს უნი-ვერსიტეტების პროფესორები, მეცნი-ერაგი საპატიოსტები ბიზნესმენები

საქართველოდან თუ ისრაელიდან და ორივე უნივერსიტეტის სტუდენტები. ისრაელის მხარეს წარმოადგენდა ბერ გურიონის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ალბინი, ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ დირექტორი აპარონ გაგულაშვილი და სტუდენტები გურიონის უნივერსიტეტიდან: ზენ ავიელ ელიასი, ტომ რაზი და სხვები.

საზაფხულო სკოლის მიმდინარეობისას მონაწილეებმა თემატური მოხსენებები წარმოადგინეს. გაიმართა დისკუსიები, განხილვები. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“-ს პრეზენტაცია. ვიზიტები გაიმართა ზუგდიდის სასათბურე მეურნეობასა და აჭარის ერთ-ერთ აგრძიფირდაში; პროექტის ფარგლებში ჩატარდა შემოქმედებითი აკვასემინარი. დაფუძნდა ცენტრ „იდეა“-ს სამეცნიერო-პრაქტიკული უზრნალი და სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ხელშემწყობი ფონდი. საერთაშორისო სტუდენტური კრასტიკული საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული ინიციატივის მიზანი იყო სამეცნიერო და აკადემიური კულტურული მატერიალური და ურბანული ღირსშესანიშნაობები. დღეისათვის განხილვებულია პროექტის მთლიანობა წარმოადგინეს.



ლი – საზაფხულო სამეცნიერო-პრაკტიკული სკოლა. მთლიანად პროექტი დასრულდება ნოვემბერში, გამოიცემა სამეცნიერო-პრაკტიკული ჟურნალი, რომელშიც დაიბეჭდება საზაფხულო სკოლაში წარმოადგინებო მოხსენიებები.

სტუდენტური გაცვლითი პროგრამების ფართო მასშტაბით განხორციელებას; გაღრმავდება საქმიანი და მეცნიერული ურთიერთობები საქართველოსა და ისრაელის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და გიზმის, შრომის შორის;

საზაფხულო სკოლის პროექტის განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდება შესაბამისი სასწავლო დისციპლინების (მაგ: „ისრაელის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა და საქართველო“, „სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ებრაული მოდელი და საქართველო“, „ქართულ-ებრაული ბიზნეს-ურთიერთობები“, „კიბუცების და მოშავების ეკონომიკა და მართვა“ და სხვ.) შემოღება საქართველოს ეკონომიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში; გზა გაეხსნება საქართველოსა თუ ისრაელის შორის სამართლებრივ თუ რეგიონულ დაცვულ სისტემას.

„ცივი მაის“ დოკუმენტის სართაშორისო სამართლი

ლიკან ალექსიძისაში მიძღვნილი სართაშორისო სიაზოზიანი

ცალკე

„ეს ოონისძიება დიდი საჩუქარია, მით უმეტეს, როდესაც ინიციატივა საზღვარგარეთიდან მოდის. მადლი-ერი ვარ ლონდონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სკოლი-სა (LSE) და მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორების. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავჭხადო პროფესორ გერი სიმფსონს (LSE) და თსუ-ის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პროფესორს ქეთევან ხუციშვილს, რომლებმაც ითავეს ამ ოონისძიების ორგანიზება. ამ სიმპოზიუმის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მოხდა საერთაშორისო სამართლის ქართული სკოლის კიდევ ერთხელ წარმოჩინება საერთაშორისო ასპარეზზე, სადაც ამ სკოლას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აქტუალური თეორიული და პრაქტიკული საკითხებისადმი მისი არასტანდარტული კონცეფციების გამო. განსაკუთრებით მოულოდნელი იქო ლონდონისა და მელბურნის პროფესორების მიერ ასეთი სილრმისეული ცოდნა ჩვენი სკოლისა და, პირადად, ჩემი მოღვაწეობის შესახებ, როგორც „ცივი ომის“ დროს, ასევე დღევანდელ დღეს. ამან კიდევ ერთხელ და-მარწმუნა, რომ ჩვენი სამეცნიერო კვლევითი მუშაობა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად უნდა დარჩეს და კიდევ უფრო გაძლიერდეს“, – განაცხადა აკადემიკოს-მა ლევან ალექსიძემ.

როგორც სიმპოზიუმის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, საერთაშორისო სამართლის პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე სჭირდება პოზიციის მკაფიოდ და მუარად წარმოჩენა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმგვარი საერთა-შორისო ავტორიტეტისა და პროფესიაში აღიარების მქონე ადამიანების საქართველოსთვის მიკუთხებას, როგორიც აკადემიკოსი ლევან ალექსიძეა. საერთაშორისო სამართლის განვითარებაში მისი დამსახურების შესახებ სიმპოზიუმზე მოწვეულმა 25-მა უცხოელმა სპეციალისტმა აღნიშნა. მათ შორის გახლოდნენ მეთიუ ქრეიივენი (ლონდონის უნივერსიტეტი), გერი სიმფსონი (ლონდონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეც-



ნიერებათა სკოლა), სუნდშია პაჭუჯა
(მელობურნის უნივერსიტეტი), სკოტ
ნიუტონი (ლონდონის უნივერსიტე-
ტი). აკადემიკოს ლევან ალექსიძის
მოღვაწეობის საერთაშორისო და
ქართული სამართლის განვითარე-
ბის შესახებ სიმპოზიუმის გახსნისას
ისაუბრა თსუ-ის ვიცე-რექტორობა მი-
ხეილ ჩხერიმაძე.

„პროფესიონალური ლეგან ალექსიძე
გახლავთ საერთაშორისო სამართ-
ლის მოწინავე სპეციალისტი. მან ამ
მიმართულებით გაზარდა სპეცია-
ლისტების არაერთი თაობა, რომ-
ლებმაც დიდი წელილი შეიტანეს
ქართული სამართლის განვითარე-
ბაში. მინდა, მათლობა გადავუხადო
მას ღვაწლისთვის, დაუღალავი და
ნაყოფიერი შრომისთვის“, – აღნიშნა
მიხეილ ჩხერიმელა.

„მოხარული ვარ, რომ ვესწრები
ამ სიმპოზიუმს და საშუალება მაქვს
რამდენიმე სიტყვა ვთქვა ბატონი ლე-
გან ალექსიძის შესახებ. აյ მოსკოვამ-
დე ვფიქრობდი, თუ რამდენი სტუ-
დენტი დაესწრებოდა ღონისძიებას.
მოხარული ვარ, რომ მის ღვაწლს
ახალი თაობაც აფასებს“, – აღნიშნა
პროფესორმა გერი სიმოზონმა.

ლონისძების მეორე დღეს მონაწილეებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უმასპინძლა. თემატურად დატვირთული და მრავალფეროვანი საკითხების განხილვა „ციფრი ომის“ დროინდელი საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან ასპექტებს შეეხო. იმის გათვალისწინებით, რომ პროფესორი ლევან ალექსიძე „ციფრი ომის“ დროს საერთაშორისო სამართალს არა მხოლოდ იკვლევდა და ასწავლიდა საბჭოთა

კავშირის ფარგლებში, არამედ იგი ასევე მუშაობდა გაეროში, როგორც ნიუ-იორკის, ისე უენევის შტაბ-ბინებში და ეს იმ დროს, როდესაც ადამიანის უფლებების საერთაშორისო ინსტრუმენტები ყალიბდებოდა. ონისძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სჭორედ ამ თემატიკის გარშემო წარიმართა.

„სხვა საკითხებთან ერთად, ბუნებრივია, განვიხილეთ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი, რომელსაც საერთაშორისო სისტემის სასამართლო მოიხსენიებს საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტად. ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორებმა ხაზი გაუსვეს პროფესორ ლევან ალექსიძის მუშაობას გაეროს ფარგლებში უკვე საქართველოს სახელით დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სხვადასხვა დელეგაციის წევრად მისი საქმიანობისას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითი, რომელიც საქართველოში სტუმრად მყოფმა მეცნიერებმა მოიყვა-

ნეს, გახლავთ შემდეგი: გაეროში გა-
წევრიანების შემდეგ ძალიან მცირე
დროში პროფესორ ალექსიძის მიერ
მომზადებული დოკუმენტი გაეროს
უშიშროების საგჭოსა და გენერალუ-
რი ასამბლეის დოკუმენტის სახით
გავრცელდა გაეროს ყველა წევრ სა-
ხელმწიფოში. ეს დოკუმენტი აფხა-
ზეთში საქართველოს ეთნიკურად
ქართველი მოსახლეობის ეთნიკური
წმენდის საკითხსა და გენოციდალუ-
რი განშრახვის დამადასტურებელ
სავარაუდო ფაქტებს შეეხებოდა. ალ-
ნიშნული დოკუმენტი გაეროს დო-
კუმენტების არქივში იძებნება და
არაერთხელ გამოუყენებია საქართ-

ველოს როგორც სამართლებრივად, ისე პოლიტიკურად, მათ შორის სულ ახლო წარსულშიც. ეს, და მრავალი სხვა მაგალითი, რასაც ჩვენ, ქართველები, შეიძლება, არ ვაქცევთ ყოველთვის უურადღებას, კარგად აქვთ დანახული მათ, ვინც საქართველოს აკვირდება და ჩვენი ქვეყნის გამორჩეული ადამიანების და, მათ შორის, საერთაშორისო სამართალში დასაფასებელი ქართველის, პროფესორ ლევან ალექსიძის საქმიანობას ზოგჯერ ჩვენზე მეტად აფასებს“, – განაცხადა სიმპოზიმის ორგანიზატორმა, პროფესორმა ქეთევან ბუციშვილმა.

სიმბოზიუმზე წარმოდგენლი მოხსენებები შეეხო საერთაშორისო სამართლის განვითარების მრავალ სფეროს ცივი ღმის ჭრილში, ასევე საერთაშორისო სამართლის აქტუალურ, თანამედროვე საკითხებს ისტორიულ კონტექსტში. პროგრამაში შეტანილი გახლდათ საქართველოს-თვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლის ელემენტებიც.

„ასაკიდან გამომდინარე, ჩემი
დიპლომატიური და სამეცნიერო
მოღვაწეობის ეპიცენტრი სწორედ
„ცივი ომის“ პერიოდში ვითარდებო-
და (1958-1990 წწ.). ჩემი ანალიზის
შედეგად ცხადი ხდება, რომ ადამი-
ანის უფლებათა საერთაშორისო სა-
მართალი სწორედ ცივი ომის დროს
ჩამოყალიბდა და განვითარდა, მიუ-
ხედავად მწვავე იდეოლოგიური და
პოლიტიკური ბრძოლისა, რომელიც
მიმდინარეობდა ამ დროს „სოცია-
ლისტურ“ და „კაპიტალისტურ“ ბანა-
კებს შორის. სწორედ იმ დროინდელ-
მა მეცნიერებმა და დიპლომატებმა
შეუწევეს ხელი „ცივი ომის“ დასრუ-
ლებას და მე ვამაყობ იმით, რომ ამ
პროცესში აქტიურად ვმონაწილეობ-
დი“, – განაცხადა აკადემიკოსმა ლე-
ვან ალექსიძემ.

სიმპოზიუმი – „ცივი მობილური და განვითარებული სამართლი“
დელი საერთაშორისო სამართლი“
– 14 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა და
17 სექტემბერს მწერალთა სახლში დასრულდა. სიმპოზიუმით გაიხსნა
თსუ-ის საერთაშორისო სამართლის
იმსტიტუტის 2017-2018 საჯარო ლექციების ციკლიც. თსუ-ის იურიდიული
იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო
სამართლის მიმართულება აკადემიკოს ლევან ალექსიძის ავტორიტეტისა
და საერთაშორისო აღიარების კვალდაკვალ სხვადასხვა ღონისძიებების
გებას სამომავლოდაც გეგმავს.

მაგისტრალური კურსების განვითარების დოკუმენტი თუ-ში

შუალედა ბაროვალი

კვე მერამდენედ, ტრადიციის
სამებრ, ცაში ასროლილი ჭუ-
დებით და ფერადი ლენტებით
გაწყობილი შავი მანტიებით შეხვდნენ
უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურ-
სდამათავრებულები და პროფესორ-
მასწავლებლები ამ საზეიმო დღეს. მა-
გისტრატურის კურსდამათავრებულთა
გამოსაშვებ ლონისძიებაზე სტუდენ-
ტებს თსუ-ის რექტორმა გიორგი შარ-
ვაშიძემ მიმართა: „ეს დღე განსაკუთ-
რებულია თითოეული თქვენგანისტვის,
რადგან დღეს, საზეიმო ცერემონიალის
შემდეგ, ჩვენი უნივერსიტეტის მაგისტ-
რანტების საპატიო წოდებას მიიღებთ
და შეუერთდებით იმ 300 ათასამდე
კურსდამთავრებულს, რომლებმაც ჩვე-
ნი უნივერსიტეტის კედლებში მიიღეს
განათლება თითქმის ამ 100 წლის გან-
მავლობაში... ეს არის დიდი ინტელექ-
ტუალური ძალა და დარწმუნებული
ვარ, რომ თითოეული თქვენგანი თავის
მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი
ქვეყნის განვითარებაში და ბოლომდე
„უნივერსიტეტელებად“ დარჩებით“, —
განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

მაგისტრატურის დამთავრება: სტუდენტებს მიულოცეს ფაკულტეტის დეკანებმა და პროფესორებმაც: „ჩემს სტუდენტებთან ერთად სიამოვნებით გამოვეწყვე მანტიაში და ამით მათ ჩემი სოლიდარობა გამოვუცხადე. წარმატება მიზნად ვუსურვო ყველას“, – გვითხრა თსუ-ის ზუსტ და საბურჯისმეტ-კველო ფაკულტეტის დეკანმა რამაზ ხომერიქამა.

„დღევანდელი საზეიმო ღონისძიება
მნიშვნელოვანია როგორც მთელი უნი-
კერსიტეტისთვის, ასევე ჩვენი ფაკულ-
ტეტის სტუდენტებისთვის, რომელ-
თათვისაც საეტაპო პერიოდი დგება,
ამიტომ დიდი სიხარულით ვულოცავთ
მათ მაგისტრატურის დამთავრებას და
წარმატებებს ვუსურვებთ“, – ასე მიუ-
ლოცა სტუდენტებს სწავლის დამთავ-
რება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერე-
ბათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფ-
რინდა შვილმა.

„ჩვენ იმდედი გვაქვს, რომ თითოეულ
სტუდენტს წინ საინტერესო ცხოვრება
ელის, ისინი ნამდვილი პროფესიონა-
ლები გახდებიან და ჩადგებან ჩვენი
ქვეყნის სამსახურში. აგურისაფერი წინ-
სვლის და წარმატების სიმბოლოა და
სწორედ ამ განწყობით ვულლცავ მათ
ამ ძნიშვნელოვან დღეს“, – განაცხადა
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროს-
მა, პროფესორმა რეზო კორპენაძემ.

„ჩემს სტუდენტებს ვუსურვებდი,
რომ განათლებასთან და პროფესიულ
წარმატებასთან ურთად ნამდვილ. კი-



თილშობილ ადამიანებად დარჩენენ, რაც დღევანდელ დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, „უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნა და გამოყდილება კი სასიკუთოდ გამოიყენონ“, – ასეთი იყო თსუ-ის ფისკოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თამარ გაგოშიძის სურვილი სტუდენტების მიმართ.

პროფესიული წინავლა და წარმატება უსურვეს სტუდენტებს ასევე ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანმა თეიმურაზ ბერიძემ და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ თამარ ზარანდიამ.

საზეიმო ცერემონიალზე სტუდენტებს სპეციალურმა მოწვეულმა სტუმარობა, ცნობილმა იუმორისტმა და დღეს უკვე წარმატებულმა მედია-მენეჯერთის კურსის ლექტორმა დათვი.

გოგიჩაიშვილმა მიმართა და სტუდენტებს წარმატების რამდენიმე „საიკლომლოც“ გაანდო: „უნდა გახსოვდეთ რომ წარმატებული მხოლოდ მაშინ არის ადამიანი, როდესაც ეს მიღწევები სხვებისთვისაც სასარგებლოა... ჩემი რჩევაა, გულით შეიკვაროთ ის საქმე რასაც აკეთებთ და ნუ დაელოდებით ეჭვის საათის დადგომას, რომ სახლში გაიჭეოთ, რადგან, ვინც მხოლოდ მოვალეობისთვის მუშაობს, მისთვის დრო წელა და უინტერესოდ გადის. ჭეშმარიტი წარმატებისა და ბედნიერების ურთიერთდამოკიდებულება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ჩვენ ხშირად გვეჩენება, რომ ბედნიერება შორს არის ჩვენგან და ვერ დავეწევით. დღეს უკავი კალეგებით არის დადასტურებული რომ თუ ადამიანს შეუძლია ბედნიერ რად იგრძნოს თავი მოცემულ მომენტს.



ତ୍ରଶି, ମିଳି କୌତୁକରୁଣାଯକ ଦ୍ୱାରାମାତ୍ରେବିଲୁ
ଅଲ୍ପବାଟନୀବା ଗ୍ରାହିତରଙ୍ଗେବା. ତକ୍ଷେତ୍ର ଉନ୍ନିଗ୍ରେର-
ସିତ୍ତେତିଲି ମାଗିଲି ଶରୀରାତ୍ମିକାରୁ କୁଞ୍ଚିତୀରୁ
ଦାର୍ଢତାବର୍ଗେ, ଏହି ଶୈଖିନୀରୁ ମେଘଗନ୍ଧର୍କେବି, ରୂପ
ନାମଦଵିଲ୍ଲାଦ ମନିଶଗ୍ରହିଲ୍ଲାଙ୍ମାନିବା. ଫାଁଝା-
ଶେଷ କ୍ଷେତ୍ରର୍କେବାଥି ଶୈକ୍ଷଣିକିଲ୍ଲା ଗାମନିପ୍ରଦି-
ଲ୍ଲାଦା, ଶୈଶାଳିଲୋ ମାର୍ତ୍ତିବିପ ଗାନ୍ଧିତାଫଳ,
ମାଗରାମ ଆମାନ ଆର ଶୈଗାଶିନିତ, ଶୈଶାଳିଲୋ
ଏ ତକ୍ଷେତ୍ର ମରମାଗାଲି ଗାମାରକ୍ଷବେବିଲି ମି-
ଠେଥାଦାଦ କି କିମ୍ପେବେ. ଦିଲ୍ଲାଙ୍କ କି “ଦାନାଲ୍ଲୁ-
ରାତ” ଦ୍ୱାରାମତାବର୍ଗେ ହିଁମ୍ବ ଗାମନିଲ୍ଲାଙ୍କା ଦା
ଦ୍ୱାରମାତ୍ରେବେବି ଗିଲ୍ଲାଉର୍ଗେବିତ”, — ମିମାରିବା
ଦାତିର ଗାନ୍ଧିତାକିମିଶିବିଲିମା ସତ୍ୟର୍ଥନିକାବିଲି.

საზოგადო ლონისძიებაზე თავიანთი სიხარული და ემოცია სტუდენტებმაც გავიწიარება: „ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის მნიშვნელოვანი და ბედნიერი დღეა, უნივერსიტეტი ის ადგილია, სადაც წამდგილად შეგიძლია მიიღო ცოდნა, ჩემი სამომავლო გეგმები სამეცნიერო მუშაობას უკავშირდება და ვიმედოვნებ, აქ მიღებულ განათლებას სათანადოდ გამოვიყენებ“, – გვითხრა თსუ-ის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტმა ელენე ბერიაშვილმა. სხვა მაგისტრანტებიც: იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი მედა ცირამუა, ბეჭა დადეშქლიანი, ქეთევან ქუთათელაძე, ოლიკო ერიბაა და სხვგბი, თვლიან, რომ უნივერსიტეტში მათ კარგი განათლება მიიღეს, რაც მათი კარიერული და პროფესიული წინ-

სკოლის გარანტი იქნება მომავალშიც...
2017 წელს თსუ-ის მაგისტრატურა
1000-მდე სტუდენტმა დაამთავრა. თსუ-ის 7 ფაკულტეტზე 200-ზე მეტი სასწავლო პროგრამა მოქმედებს, მათ შორის, 25 სამართლებრივ კურსი.

95 სამაგისტრო.
საზეიმო ღონისძიებაზე „თსუ არ-ტმა“ და ანსამბლმა „უნივერსიტეტმა“ ტრადიციისამებრ შეასრულეს უნივერსიტეტის პიმინი, რომელიც, შემდეგ, ასევე ტრადიციულად, ქუდების მაღლა აყრის კორემნიით დასრულდა.

სტუდენტთა საკონტაქტო კიბელური სამსახური – 2017



2016 წლის დასაწყისში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ბერნის (შვეიცარია) და ივან ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის, რომელიც ითვალისწინებს როგორც სტუდენტთა გაცვლას, ისე მათ ერთობლივ მონაწილეობას სასწავლო და საველე პროექტებში. შვეიცარიელი კოლეგების ხელშეწყობით, ასევე, მომზადდა 2018 წელს გამოიცემა სახელმძღვანელო მაგისტრატურის სტუდენტებისთვის: „მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება“, სადაც წარმოჩენილი იქნება როგორც ზოგადად მთებთან ისე მსოფლიოს, კავკასიასა და საქართველოსთან აქტუალური სოციალურ ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემატიკა, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საველე კვლევის მეთოდოლოგია.

ბერნის უნივერსიტეტს წარმოადგენს გარემოს და განვითარების ცენტრი (პროფ. პეტერ მესსერლი), დოქტორი ჟეინო მეესენი), ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა (პროფ. ნორა ულიზბარაშვილი).

მიმდინარე წლის 20-28 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა ბერნის (შვეიცარია) და ერვნის სახელმწიფო პედაგოგიური (სომხეთი) უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს. მათ მონაწილეობა მიიღეს ერთობლივ სემინარში და საგელე პრაქტიკებში, რომელიც გაიმართა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. პრაქტიკების შედეგები გამოიცემა როგორც პუბლიკაციის სახით, ისე აისახება ქართველი და შვეიცარიელი სტუდენტების სამაგისტრო ნაშროობებში

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅՈՒՆ

მ რიენტალისტიკა კომპლექსური
ჰუმანიტარული მეცნიერებაა,
რომელიც შეისწავლის აღმო-
სავლეთის ხალხების ერას, ისტორიას,
ლიტერატურას, ფოლკლორს, ეთნოგ-
რაფიას, პალეოგრაფიას, დიპლომა-
ტიკას, ნუმიზმატიკას, ხელოვნებასა და
სხვ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1918 წლიდან, დღიდან და-არსებისა, ისწავლებოდა არაბული და სპარსული ენები, რადგან ქართულ უნივერსიტეტს, უპირველეს ყოვლისა, ქართული საქმე უნდა ეკეთებინა, ხოლო ამას აღმოსავლური ენების ცოდნაც სჭირდებოდა.

ქართულ-აღმოსავლურ ურთიერთობებს ლრმა ფესვები აქვთ. ქართულ-სირიული, ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობები IV საუკუნიდან იღებენ სათავეს; VII საუკუნიდან დაიწყო ისლამურ სამყაროსთან ხანგრძლივი ურთიერთობები, რამაც ქართული კულტურის ისტორიაში თავისი საგრძნობი კვალი დატოვა; ეს ცელა-ფერი განაპირობებდა და განაპირობებს იმას, რომ ქართველოლოგიური მეცნიერებები ვერ იქნება სარულყოფლი აღმოსავლეთმცოდნების გარეშე. 1945 წლს აკადემიკოს გიორგი წერეთლის ინიციატივით თბილისის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნებისა უკვე ინსტიტუციურად დაარსდა. ორი დღე წლის წინ აკადემიკოს აპოლონ სილაგაძის თაოსნობით თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნების ფაკულტეტის (ამჟამად – სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის) დაარსებიდან 70 წლისთვის მასშტაბური ლონისძიებებით აღინიშნა. ამ ლონისძიებების ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს მთავრობისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებმა, ქართულმა აკადემიურმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენეს, რომ

მსოფლიოში აღიარებული ქართული საუნივერსიტეტო ორენტალისტური სამეცნიერო სკოლა კვლავაც არსებობს და ღირსეულად ფუნქციონირებს. ამ სკოლის მეთაური და ინსტიტუტის ხელმძღვანელი სიცოცხლის ბოლო დღემდე იყო აკადემიკოსი აპოლონ სილაგაძე.

აპოლონ სილაგაძე აკადემიკოს გიორგი წერეთლის მოწაფე და მისი საქმის გამგრძელებელი იყო არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ მრავალი წლის მანძილზე განაგებდა სემიტოლოგის (შემდგომში – არაპისტიკის) კათედრას, არამედ იმ გაგებითაც, რომ იგი პრაქტიკულად იყო ქართული საუნივერსიტეტო ორენტალისტიკის ლიდერი, რომელიც მართავდა ამ დისციპლინების განვითარების გეზს, ადგენდა

აპოლონ სილაგაძემ, ორმელსაც კარგად ესმოდა თანამედროვე გამოწვევები, მიზნად დაისახა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობა ეჭვია თანამედროვე ხასიათის, ფართო პროფესიონალის დისკიპლინად და კიდეც განახორციელა ჩანაფიქრი. დღეს საუნივერსიტეტო აღმოსავლეთმცოდნეობა ერთგულია ტრადიციებისა, რაც ხელს არ უშლის განვითარდეს თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისადაც. ამის დასტურია, მაგალითად, აქცენტების გარკვეული გადანაცვლება ენის სწავლების საკითხში: რჩება რა აუცილებლად კლასიკური ენების სწავლება და შესწავლა, აქცენტები დასმულია თანამედროვე, სასაუბრო ენობრივ ფორმებზე; ასევე, ახლო აღმოსავლეთის ისტორიის გვერდით შეისწავლება და ისწავლება აღმოსავლეური სამყაროს თანამედროვე რეალიები და მოვლენები და ა.შ... საუნივერსიტეტო ორიენტალისტიკა ვითარდება იმ თვალსაზრისითაც, რომ ბოლო წლებში, გარდა XX საუკუნეში არსებული მიმართულებებისა, საფუძველი ჩაეყარა ახალ მიმართულებებისაც – სინოლოგიასა და იაპონიისტიკას.

კველაფერ ამას, რა თქმა უნდა, კოლე
გებთან ერთად, ქმნიდა აპოლონ სილა
გაძე. რომ გადავხედოთ იმ თემატიკას
რომელზედაც მუშაობენ დღეს აღმო
სავლეომცოდნების ს/ს ინსტიტუტის
კათედრათა პროფესორები, დავინა
ხავთ, თუ რაოდენ ნაყოფიერია ამ არც
თუ მრავალრიცხოვანი ინსტიტუტის

(29 პროფესორი) სამეცნიერო საქმია ნობა. იმსტიტუტის პროფესურის სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის: მკვდარი და თანამედროვე ენებილინგვისტიკა, დიალექტოლოგია და ცალკეულ აღმოსავლურ ენათა დიალექტები, უურანისტიკა და ისლამური კვლევები, ლიტერატურათმცოდნეობა, ლექსთმცოდნეობა, ბიბლიისტიკა აღმოსავლური ფილოსოფია, აღმოსავლური მუსიკა, ეპიგრაფიკა, წუმიზუმატიკა, ისტორიოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, ლექსიკოლოგია, ენობრივი ინტერფერენციები, ლიტერატურული ურთიერთობები, კულტურის კვლევები სემანტიკა, ტექსტოლოგია და ა.შ. უკვლევს დისციპლინა ვითარდება ინსტიტუტის 7 კათედრაზე და შესაბამისი ამჟამინდებული ციფრული კურსების ფართო კვლევებს მოიცავს იქმნება ლექსიკონები, სახელმძღვანელოები... ფართოდაა გაშლილი მთარგმნელობითი საქმიანობა (არა მხოლოდ აღმოსავლური (მათ შორის – მკვდარი) ენებიდან, არამედ აღმოსავლურ ენებზეც). ყველაფერი ეს წლების მანძილზე ასე თუ ისე, დაკავშირებული იყო აპოლონ სილაგაძესთან, რომლის მუშაობის ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო თავისი ინსტიტუტის წევრთა დღაწლის პოპულარიზაციაზე ზრუნვა. სწორედ ამიტომ რამდენიმე წლის წინ ჩვენი უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მოეწყო ქართველ უნივერსიტეტელ აღმოსავლეთმცოდნება პუბლიკაციების პრეზენტაცია. ამ საკმაოდ შთამბეჭდადა ვი ღონისძიების ინიციატორი ისევ აპოლონ სილაგაძე იყო.

აკადემიკოსმა პილლონ სილაგაძემ
იძსტიტუტის საქმიანობა – სასწავლოლ
და სამეცნიეროც – განვითარების თვი
სეპრივად ახალ ეტაპზე აიყვანა. ეს იყო
სერიოზული საქმე, რომლის განხორც
ცილების პროცესი სირთულეებთან და
წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირე
ბული. შედეგი ისაა, რომ გვაქვს რეგის
ონბცოდნების პროფილის სასწავლო
სამეცნიერო ერთეული, სადაც ყვავის
ორიენტალისტიკა, როგორც სამეცნი
ერო და, ამავე დროს, გამოყენებითი
დარგი, რაზეც დღეს დიდი მოთხოვნი

ლებაა – დიპლომატია, გზნესი...
აპოლონ სილაგაძე საქართველოსა
და საზღვარგარეთ სხვადასხვა ენაზე
გამოქვეყნებული 150-ზე მეტი სამეცნი
ერო პუბლიკაციის ავტორია, ამათგან
35-მდე მონოგრაფია და წიგნია. მისი
კველა ნაშრომი, თვით კველაზე მცი
რე მოცულობის სტატიაც (ან შესავალ
წერილი და მისთ.), არის პრინციპულუ
სიახლის შემცველი – ეს არის მისი პუბ
ლიკაციების კველაზე გამორჩეული ნი
შანი.

აპოლონ სილაგაძე ქართველობის
გი და აღმოსავლეთმცოდნე იყო. თვით
თონ თვლიდა, რომ პრიორიტეტული
მისამისი მარწმ ქართველობობია იყო
მის სამეცნიერო ინტერესებში შედიოდა
და ლინგვისტიკა და ლიტერატურათ
მცოდნეობა, ლექსთმცოდნეობა, სოცი-
ოლინგვისტიკა, უურანისტიკა, ისტო-
რიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა
ნუმიზასტიკა, და ა.შ.

აპოლონ სილაგაძისეულ თეორია-ში პირველადაა განსაზღვრული ქართული ლექსის კანონზომიერი სისტემა (ბინარული სტრუქტურები საერთო ტიპისა $n + k$, სადაც $n \geq k$; მათი ოთხი იერარქიული დონე), დადგენილია კანონზომიერი დიაქტონია (ქართული ლექსისთვის რეალიზაციის ოთხი საფეხური, როდესაც მათი თანმიმდევრობა მიემართება სისტემის ოთხ დონეზე).

მოქმედი მთავარი სტრუქტურული წესის კანონზომიერ ტრანსფორმაციებს) აღდგენილია პირველისწინა (ფიქსირებულისწინა) საფეხური. და ა.შ. ბოლო წლებში განვავრცო მუშაობა და მოიცვა



აპოლონ სილაგაძე

ლი პოლიმეტრული ფორმა, როდესაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული იმ დროს გავრცელებული კველა სალექ-სო საზომი, ამავთროულად შემოიტანა სიახლე – ორმეტრიანი წყობა დამყა-რებული მაღალი და დაბალი შაირის ფაკულტატიურ მონაცემობაზე. ამის დასტურია ერთადერთი 20-მარცვლი-ანი სტროფი, რომელიც მკვლეობებს ხშირად გვიანდელ ჩანართად მიაჩნ-დათ სწორედ მისი 20-მარცვლიანობის გამო. ის, რაშიც ხედავდნენ კანონზო-მიერების დარღვევას, ა. სილაგაძემ აღიქვა, პირიქით, კანონზომიერებად, და სტროფის რუსთველურობის დამამ-ტკიცებელ არგუმენტად.

უურანისტრიკული კვლევებიდან სრულიად ინოვაციურია პოლონმ სილაგაძისეული კვალიფიკაცია უურანის ტექსტის შედეგენილობის ორპლანიანობის შესახებ; ასევე – უურანის გარითმვის სისტემის შესახებ.

ბოლო ჭლების განმავლობაში აპო-
ლონ სილაგაძე დაკავებული იყო სო-
ციოლინგვისტიკის საკითხებით. მას
ეკუთვნის სრულიად უზრიკალური ხედვა
არაბულში არსებული ჰეტეროგრაფი-
ის შესახებ (თვით ტერმინიც მოცემულ
კონტექსტში მისივე შეტანილია სამეც-
ნიერო მიმოქცევაში).

აკადემიკოს პაოლონ სილაგაძის
გაზრდილია ორიენტალისტთა რამდე-
ნიმე თაობა, რომლებიც უკვე მუშაობენ
საკუთარ მოწაფეებთან. მათ ახსოვთ,
თუ რა წელილი მიუძღვის ბატონ აპო-
ლონს მათ სპეციალისტებად ჩამოყა-
ლიბებაში. ზოგჯერ ფიცე, მაგრამ ყო-
ველთვის სამართლიანი პროფესიონალი-
ური გადასახლება არ მოხდება.

პერსაცეტიულ ახალგაზრდებს გზას უკალავდა მეცნიერებისკენ.

დიდად ეამაჟებოდა ბატონ აპოლონის სამეცნიერო უურნალი „ალმოსავლეთმცოდნეობაც“, რომელიც 2012 წელს მისი ინიციატივით დაარსდა.

აპოლონ სილაგაძე პოეტიც იყო. მისი ლექსების უმრავლესობა არა გამოქვეყნებული. სამწუხაროდ, ისინი ველარც გამოკვეულდება, რადგან ამ მართლაც არაორდინალურ პიროვნებას ეს ლექსები არასდროს არ ჩაუწერია. ის ლექსებს წერდა „ზეპირად“, გონებაში და საოცარი სიზუსტით იმახსოვრებდა. მათი წაკითხვა შეუძლებელი იყო (გამოიცა მხოლოდ მცირე ნაწილი). არსებობს მხოლოდ ზოგიერთი ასეთი ლექსის ელექტრონული ვერსია, საგან-გებოდ ჩაწერილი (არა მის მიერ), რათა შემდგომში შესაძლებელი ყოფილიყო მათ პუბლიკაციაზე ზრუნვაც. მაგრამ ეს საქმე დაუმთავრებელი დარჩა.

გარდა ყველა აფერი ზემოთქმულისა, აპოლონ სილაგაძე იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი, რითაც დიდად ამაჟობდა. იყო, ასევე, საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი არაბული.

სამყაროში.
აკადემიკოსი აპოლონ სილაგაძე
2017 წლის 25 ივნისის ღამეს გართა-
იცვალა. ეს იყო საჭირო ადამიანი, სა-
ჭირო ქართული უნივერსიტეტისთვის,
ქართველი სტუდენტებისთვის, ქართუ-
ლი მეცნიერებისთვის, ზოგადად – ქარ-
თული საქმისთვის.

ნინო ვაჟირაძე,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

